საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

დავით აღმაშენებლის გამზირი **N80**
0102 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

02 ოქტომბერი 2024 წ.

KA000095740648224

№ **2024/5130**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ მიხეილ ჩინჩალაძეს

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2005 წლის 5 მაისის განაჩენის გადასინჯვის თაობაზე სისხლის სამართლის [redacted] მიმართ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო მიხეილ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა სისხლის სამართლის [redacted] საქმეზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს [redacted] განაჩენი [redacted] რომლითაც [redacted] ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 13 (ცამეტი) წლის ვადით, 19,109-ე მუხლის „ა“, „კ“ და „ო“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 15 (თხუთმეტი) წლის ვადით, ასევე, 109-ე მუხლის „კ“ და „ო“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახედ განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა. უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, [redacted] სასჯელის სახედ განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა.[1]

მასალების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ [redacted] მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის (2005 წლის [redacted]) შემდეგ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სხვადასხვა დროს განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად, იმ ქმედებისთვის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „კ“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული, განზრახ მკვლელობა ხულიგნური ქვენა გრძნობით, არაერთგზის), რომლის ჩადენისთვისაც მსჯავრდებულ [redacted] სასჯელის სახედ განსაზღვრული აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა, შემსუბუქდა პასუხისმგებლობა და მაქსიმალური სასჯელის სახედ განისაზღვრა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.

ამასთან, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კანონს, რომელიც ამსუბუქებს პასუხისმგებლობას, აქვს უკუძალა და წარმოადგენს ასეთი ქმედებისთვის მსჯავრდებული პირის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვის ერთ-ერთ ახლად გამოვლენილ გარემოებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რამდენადაც მსგავს შემთხვევებზე სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ადამიანის უფლებათა დაცვაში, სახალხო დამცველმა გადაწყვიტა, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური მანდატის გათვალისწინებით, სასამართლოს წარუდგინოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება.

წინამდებარე სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მომზადებულია დაცვის მხარის (განცხადება და შუამდგომლობა) და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ წარმოდგენილი [redacted] ბრალდების სისხლის სამართლის საქმის მასალების[2] საფუძველზე.

ვიმედოვნებ, რომ წინამდებარე მოსაზრება სასამართლოს განსახილველი საკითხის სათანადოდ შეფასებაში დაეხმარება.

სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართვის უფლებამოსილება

მოგეხსენებათ, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „სახალხო დამცველის უფლებამოსილება განისაზღვრება ორგანული კანონით“.[3]

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, „საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია, [...] ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში“.[4] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დაინტერესებულ პირს, რომელიც არ არის მხარე განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში, უფლება აქვს, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით.[5]

სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მიზნად არ ისახავს რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას და ახდენს ადამიანის უფლებათა სამართლის მხოლოდ იმ სტანდარტის იდენტიფიცირებას, რომელიც დადგენილია ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ.

ფაქტობრივი გარემოებები[6]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის [redacted] განაჩენის თანახმად, [redacted] დამნაშავედ იქნა ცნობილი 2001 წლის [redacted] განზრახ მკვლელობის ჩადენაში (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული).

ასევე, ამავე განაჩენით, ჩადენილი ჰქონდა რა განზრახ მკვლელობა,[7] 2004 წლის [redacted] დაახლოებით [redacted] ჩაიდინა ხულიგნური ქვენაგრძნობით, არაერთგზის, [redacted] განზრახ მკვლელობა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „კ“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული).[8]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2005 წლის [redacted] განაჩენით, [redacted] დამამძიმებელ გარემოებებში, არაერთგზის, ხულიგნური ქვენაგრძნობით განზრახ მკვლელობის ჩადენისთვის (2004 წლის [redacted] განზრახ მკვლელობის ეპიზოდი) სასჯელის სახედ განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა.[9]

[redacted] მიმართ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ 2005 წლის [redacted] გამამტყუნებელი განაჩენისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2005 წლის [redacted] განჩინების გამოტანის შემდეგ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სხვადასხვა დროს შევიდა ცვლილებები და დამატებები, მათ შორის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლსა (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) და მე-15 მუხლში (არაერთგზისი დანაშაული).

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ 2006 წლის 28 აპრილის საქართველოს N2937 კანონის პირველი მუხლის მე-14 ნაწილით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლი დაიყო ნაწილებად და პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მაქსიმალური სასჯელის სახედ განისაზღვრა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის სასჯელის სახედ და ზომად უვადო თავისუფლების აღკვეთა განისაზღვრა.[10]

განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში ხულიგნური ქვენაგრძნობით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ 2006 წლის 28 აპრილის N2937 საქართველოს კანონის ამოქმედებამდე მოქმედი რედაქცია), რომლის ჩადენისთვისაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2005 წლის [redacted] განაჩენით, [redacted] განსაზღვრული აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა,[11] 2006 წლის 28 აპრილის ზემოაღნიშნული კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, კვალიფიცირდებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ვადით ცამეტიდან ჩვიდმეტ წლამდე.[12]

ასევე, 2007 წლის 4 ივლისის „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს N5196 კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლში განხორციელდა ცვლილება და ქმედების არაერთგზის დანაშაულად კვალიფიკაციისთვის სავალდებულო გახდა ქმედების ჩადენა ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირის მიერ, ხოლო სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის - ამ კოდექსის შესაბამის მუხლში მითითებული ქმედებისთვის ნასამართლევი პირის მიერ.[13] 2007 წლის 4 ივლისის კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლში ცვლილების განხორციელებამდე, არაერთგზის დანაშაულად ითვლებოდა პირის მიერ ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენა, ან/და სხვადასხვა მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, თუ ამის შესახებ მითითებული იყო შესაბამის მუხლში. ამასთან, კანონმდებელი დანაშაულის არაერთგზის ჩადენილად დანაშაულის დასაკვალიფიცირებლად სავალდებულოდ არ მიიჩნევდა ამ მუხლით ან მუხლის ნაწილით ნასამართლობას.[14] თუმცა, 2007 წლის 4 ივლისის N5196 საქართველოს კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული მითითებული ცვლილება არ ვრცელდებოდა 2007 წლის 4 ივლისის მითითებული კანონის ამოქმედებამდე ჩადენილ ქმედებებზე.[15]

2019 წლის 20 სექტემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N2/4/1365 გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 4 ივლისის N5196-რს კანონის მე-2 მუხლი (რომლითაც 2007 წლის 4 ივლისის N5196 კანონის ამოქმედებამდე ჩადენილ ქმედებებზე არ ვრცელდებოდა აღნიშნული კანონით დადგენილი არაერთგზისი დანაშაულის დეფინიცია) და ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული ამ გადაწყვეტილების (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 20 სექტემბერის N2/4/1365 გადაწყვეტილება) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან (2019 წლის 25 სექტემბერი).

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „კანონს, თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.“[16]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, „სისხლის სამართლის კანონს, რომელიც [...] ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა“.[17] ასევე, „თუ ახალი სისხლის სამართლის კანონი ამსუბუქებს სასჯელს ქმედებისთვის, რომლის გამოც დამნაშავე მას იხდის, ეს სასჯელი უნდა შემცირდეს ამ სისხლის სამართლის კანონის სანქციის ფარგლებში“.[18] ხოლო, „თუ დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე სისხლის სამართლის კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გამოიყენება ყველაზე მსუბუქი კანონი.“[19]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ახალი კანონის მიერ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემსუბუქება წარმოადგენს ახლად გამოვლენილი გარემოების საფუძველზე განაჩენის გადასინჯვის ერთ-ერთ საფუძველს.[20] ახლად გამოვლენილი გარემოების გამო განაჩენის გადასინჯვის კიდევ ერთი საფუძველია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი.[21]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, 2006 წლის 28 აპრილს შეტანილი ცვლილებებითა და დამატებებით,[22] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლი დაიყო ნაწილებად და 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის მაქსიმალური სასჯელის სახედ განისაზღვრა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისთვის სასჯელის სახედ გათვალისწინებულ იქნა უვადო თავისუფლების აღკვეთა.[23]

2006 წლის 28 აპრილის ზემოაღნიშნული კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა ხულიგნური ქვენა გრძნობით, 2006 წლის 28 აპრილის N2937 საქართველოს კანონის ამოქმედებამდე მოქმედი რედაქცია) დაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ვადით ცამეტიდან ჩვიდმეტ წლამდე.[24]

2006 წლის 28 აპრილის N2937 საქართველოს კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ო“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა არაერთგზის, 2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაული დაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთა თექვსმეტიდან ოც წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.[25]

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ 2007 წლის 4 ივლისის საქართველოს N5196 კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებით, ქმედების არაერთგზის დანაშაულად კვალიფიკაციისთვის

სავალდებულო გახდა ქმედების ჩადენა ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირის მიერ, ხოლო სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის - ამ კოდექსის შესაბამის მუხლში მითითებული ქმედებისთვის ნასამართლევი პირის მიერ.[26] 2007 წლის 4 ივლისს განხორციელებულ ცვლილებებამდე, პირის მსჯავრდებისთვის არაერთგზის დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობა გათვალისწინებული არ იყო. შესაბამისად, დანაშაულის არაერთგზის ჩადენილად კვალიფიკაციისთვის აუცილებელი გახდა პირი ნასამართლევი ყოფილიყო იმავე ქმედებისთვის, ან იმ ქმედებისთვის, რაც მითითებულია საქართველოს სისხლის სამართლის შესაბამის მუხლში.[27]

თუმცა, 2007 წლის 4 ივლისის N5196 საქართველოს კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული მითითებული ცვლილება, 2019 წლის 20 სექტემბრამდე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ძალადაკარგულად ცნობამდე) არ ვრცელდებოდა 2007 წლის 4 ივლისის მითითებული კანონის ამოქმედებამდე ჩადენილ ქმედებებზე.[28]

2019 წლის 20 სექტემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N2/4/1365 გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 4 ივლისის N5196-რს კანონის მე-2 მუხლი და ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული ამ გადაწყვეტილების (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 20 სექტემბერის N2/4/1365 გადაწყვეტილება) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან (2019 წლის 25 სექტემბერი).[29]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

დანაშაულის ჩადენის შემდეგ სისხლის სამართლის კანონის ცვლილების შემთხვევაში, მსჯავრდებულის მიმართ ყველაზე ხელსაყრელი პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის გამოყენებაზე უარის თქმას ადამიანის უფლებების დარღვევად აღიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც.

მიუხედავად იმისა, რომ „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“ მე-7 მუხლში პირდაპირ არ არის მითითებული ქმედების ჩადენის შემდეგ მიღებული ახალი სისხლის სამართლის კანონით დადგენილი უფრო მსუბუქი სანქციის გამოყენების ვალდებულება, 2009 წლის გადაწყვეტილებაში სასამართლომ უარი თქვა ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მიერ 1978 წელს მიღებულ განმარტებაზე,[30] გაითვალისწინა რა, რომ 1978 წლის შემდეგ ევროპაში და საერთაშორისო დონეზე წარმოიშვა კონსენსუსი, რომ გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართლის კანონი, რომელიც უფრო მსუბუქ სასჯელს ითვალისწინებს, თუნდაც ასეთი კანონი დანაშაულის ჩადენის შემდეგ ამოქმედდეს.[31]

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ უფრო მძიმე სასჯელის გამოყენება, მას შემდეგ, რაც სახელმწიფომ და კანონმდებელმა ახალი კანონით პროპორციულად მიიჩნიეს შესაბამისი დანაშაულისათვის, იმ საფუძვლით, რომ ასეთი სასჯელი მოქმედებდა ქმედების ჩადენის დროს, წარმოადგენს მსჯავრდებულის სასარგებლო საკანონმდებლო ცვლილების უგულვებელყოფას და გაუმართლებლად მიიჩნია ისეთი სასჯელის გამოყენება, რომელიც შემდგომ სახელმწიფომ გადაჭარბებულად მიიჩნია ჩადენილი ქმედებისთვის.[32]

შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევად მიიჩნია შემთხვევა, როდესაც მსჯავრდებულს მიესაჯა უფრო მძიმე სასჯელი, ვიდრე დანაშაულის ჩადენიდან სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე განხორციელებული ცვლილებების შედეგად დადგენილი კანონით გათვალისწინებული, მისთვის ყველაზე ხელსაყრელი სასჯელი.[33]

წინამდებარე საქმის ანალიზი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2005 წლის [redacted] ნაჩენის შესწავლით დგინდება, რომ [redacted] უვადო თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა 2004 წლის [redacted] დამამძიმებელ გარემოებებში არაერთგზის, ხულიგნური ქვენა გრძნობით განზრახ მკვლელობის ჩადენისთვის, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „კ“ და „ო“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქცია).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2005 წლის [redacted] [redacted] განაჩენის გამოტანის შემდეგ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2006 წლის 28 აპრილის კანონით განხორციელებული ცვლილებებით, დამამძიმებელ გარემოებებში ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენილი განზრახ მკვლელობისათვის (ქმედებისთვის, რომლის ჩადენაშიც მსჯავრდებულია [redacted] დადგენილი სასჯელის სახე შემსუბუქდა და დადგინდა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, რომლის მაქსიმალური ვადა შეიძლება იყოს ჩვიდმეტი წელი.

ამასთან, 2019 წლის 20 სექტემბრის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემდეგ, ქმედების არაერთგზის დანაშაულად კვალიფიკაციისათვის 2007 წლის 4 ივლისის საკანონმდებლო ცვლილებით განსაზღვრული სამართლებრივი რეგულაცია გავრცელდა სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლით ან/და შესაბამის მუხლში მითითებული ქმედებისთვის

ნასამართლევი პირის მიერ 2007 წლის 4 ივლისამდე ჩადენილ ქმედებებზე, რასაც უნდა გამოერიცხა [redacted] [redacted] მიერ ჩადენილი ქმედებების არაერთგზის ჩადენილ დანაშაულად შეფასების შესაძლებლობა.

როგორც [redacted] მიმართ გამოტანილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის [redacted] [redacted] განაჩენიდან ირკვევა, 2004 წლის [redacted] განზრახ მკვლელობის ეპიზოდი) [redacted] არ იყო ნასამართლევი პირი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე ან/და 109-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის, მის მიერ 2001 წლის [redacted] ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი, [redacted] [redacted] განზრახ მკვლელობის ეპიზოდი). ამდენად, [redacted] მიერ ჩადენილი [redacted] [redacted] განზრახ მკვლელობის ეპიზოდი არაერთგზის დანაშაულს აღარ წარმოადგენს. [redacted] [redacted] ბრალდების სისხლის სამართლის [redacted] საქმე [redacted] განზრახ მკვლელობის ეპიზოდი), გაერთიანებულ იქნა დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობისა და დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარე (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე და 109-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული) მისი ბრალდების სისხლის სამართლის [redacted] საქმესთან და გასამართლებული იქნა გაერთიანებული სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის [redacted] განაჩენით, როგორც 2001 წლის ეპიზოდზე, ასევე 2004 წლის ეპიზოდზე.

შესაბამისად, [redacted] მიერ დამამძიმებელ გარემოებებში არაერთგზის, ხულიგნური ქვენა გრძნობით განზრახ მკვლელობის 2005 წლის [redacted] ჩადენისა და მისი 2005 წლის [redacted] უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდების შემდეგ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სხვადასხვა დროს განხორციელებული იქნა ცვლილებები, რომლებითაც მის მიერ ჩადენილი ქმედებისთვის შემსუბუქდა პასუხისმგებლობა.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებთ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2006 წლის 28 აპრილის, 2007 წლის 4 ივლისის კანონებითა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილებით განხორციელებული ცვლილებები წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ახლად გამოვლენილ გარემოებებს, [redacted] მიმართ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2005 წლის [redacted] განაჩენის გადასინჯვისთვის.

ვიმედოვნებთ, წინამდებარე დოკუმენტში მოყვანილი სამართლებრივი არგუმენტაცია სასამართლოს განსახილველი საკითხების სათანადო შეფასებაში დაეხმარება.

დამატებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გამოვთქვამთ მზადყოფნას მსჯავრდებულ [redacted] შუამდგომლობის განხილვაზე ზეპირი განმარტების მისაცემად.

პატივისცემით,

---

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის [redacted] განჩინებით [redacted] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2005 წლის [redacted] განაჩენი [redacted] მიმართ დარჩა უცვლელი.
[2] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 31 ივლისის №ბ-732-24 წერილი.
[3] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 35, პუნ. 4.
[4] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 21, ქვეპ. „ე“.
[5] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 55. ნაწ. 1.
[6] გამოყენებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის [redacted] განაჩენითა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის [redacted] განჩინებით დადგენილი გარემოებები.
[7] [redacted] ეპიზოდი.
[8] ამავე განაჩენით, [redacted] ასევე ჩაიდინა ხულიგნური ქვენაგრძნობით ორი ან მეტი პირის მკვლელობის მცდელობა, კერძოდ, მოკვლის მიზნით, რამდენჯერმე მოუქნია დანა [redacted] თუმცა, ხულიგნური ქვენაგრძნობით ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობა ბოლომდე სისრულეში ვერ მოიყვანა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, რადგან [redacted] მოახერხა მისი მოგერიება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე მუხლის „ა“, კ“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული). აღნიშნულის ჩადენისთვის მიესაჯა 15 (თხუთმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა.
[9] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2005 წლის [redacted] [redacted] განაჩენით, [redacted] ასევე ცნობილ იქნა დამნაშავედ განზრახ მკვლელობის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული კვალიფიკაცია, 2001 წლის [redacted] განზრახ მკვლელობის ეპიზოდი) ჩადენისთვის და მიესაჯა 13 (ცამეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა; ასევე, ცნობილ იქნა დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მცდელობის ([redacted] ეპიზოდი) ჩადენისთვის და მიესაჯა 15 (თხუთმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა.
[10] ვადიანი თავისუფლების აღკვეთის გარდა.
[11] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ო“ ქვეპუნქტთან ერთად (2006 წლის 28 აპრილამდე

მოქმედი რედაქცია).
[12] „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ 2006 წლის 28 აპრილის საქართველოს N2937 კანონით, განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში არაერთგზის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ო“ ქვეპუნქტით, 2006 წლის 28 აპრილის N2937 კანონის ამოქმედებამდე მოქმედი რედაქცია), კვალიფიცირდებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ვადით თექვსმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.
[13] „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ 2007 წლის 4 ივლისის N5196 საქართველოს კანონი, მუხ. 1, ნაწ. 1, ქვეპუნ. „ა“.
[14] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 15, ნაწ. 1. („საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ 2007 წლის 4 ივლისის N5196 საქართველოს კანონის ამოქმედებამდე მოქმედი რედაქცია).
[15] „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ 2007 წლის 4 ივლისის N5196 საქართველოს კანონი, მუხ. 2. (ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 20 სექტემბრის N2/4/1365 გადაწყვეტილებით).
[16] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 31, პუნქ. 9.
[17] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 3, ნაწ. 1.
[18] იქვე, მუხ. 3. ნაწ. 2.
[19] იქვე, მუხ.3, ნაწ. 3.
[20] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 310, ქვეპუნ. „ვ“.
[21] იქვე, მუხ. 310, ქვეპუნ. „დ“.
[22] „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ 2006 წლის 28 აპრილის საქართველოს N2937 კანონი, მუხ. 1, ნაწ. 14.
[23] ვადიანი თავისუფლების აღკვეთის გარდა.
[24] „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ 2006 წლის 28 აპრილის საქართველოს N2937 კანონი, მუხ. 1, ნაწ. 14.
[25] იქვე.
[26] „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ 2007 წლის 4 ივლისის N5196 საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „1. არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს წინათ ნასამართლევი პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ამ კოდექსის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არერთგზის დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში.“
[27] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის 2007 წლის 4 ივლისის N5196 საქართველოს კანონის ამოქმედებამდე მოქმედი რედაქციით, არაერთგზის დანაშაულად მიიჩნეოდა ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენა ან/და ამ კოდექსის სხვადასხვა მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენა იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ მითითებული იყო ამ კოდექსის შესაბამის მუხლში.
[28] „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ” 2007 წლის 4 ივლისის N5196 საქართველოს კანონი, მუხ. 2.
[29] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 20 სექტემბრის N2/4/1365 გადაწყვეტილება „საქმეზე ბადრი ბეჟანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, III ნაწ. პუნქტ. 1.
[30] ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1978 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე X v. Germany, N7900/77 §§70-72.
[31] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Scoppola v. Italy (N2), N10249/03, §106.
[32] იქვე, §108.
[33] იქვე, §§119, 121.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი